საქართველო
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TSAGERI MUNICIPALITY
TOWN HALL

N 649

"15" XII 2017 წ.

მახაშის საჯარო სკოლის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზ.სილაგაძეს

ბატონო ზაურ,

თქვენი წერილის(N1793 29.11.2017წ.) პასუხად,სადაც ითხოვთ სოფ.მახაშის საჯარო სკოლის დემონტაჟის სამუშაოებისათვის ნებართვის გაცემას,გაცნობებთ რომ საქ.მთავრობის ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ"2009წ.24მარტის N57 დადგენილების მე-4 მუხლის დ-პუნქტის და თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (1.სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.მახაშის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის-შენობა-ნაგებობის ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი. 2.სურათები.3.აკრედიტებული ექსპერტის დასკვნა.4.საქ.განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017წლის 2ოქტომბრის N118533 თანხმობის წერილი)საფუძველზე მახაშის საჯარო სკოლის დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ვადასტურებთ.

პატივისცემით,

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი /ა.უგრეხელიძე/

info.cageri@gmail.com

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ მახაშის საჯარო სკოლა

LEPL TSAGERI MUNICIPALITU VILAGE MAXASHI PUBLIC SCHOOL

N 109

18.12. 2017 წ.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

თავმჯდომარეს ქ-ნ ეკატერინე სისაურს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ მახაშის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაშია. შენობას რამდენჯერმე ჩაუტარდა გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიუხედავად ამისა, აკრედიტებული ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე ცაგერის მუნოციპალიტეტის სოფელ მახაშის საჯარო სკოლის შენობა არამდგრადია და შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარგისია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ მახაშის საჯარო სკოლის დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის N30 ბრძანებით შეიქმნა სსიპ -მახაშის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის (შენობა-ნაგებობის) ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისია. მახაშის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის მდგომარეობა შესწავლილ იქნა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ და დასაბუთებულ იქნა საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის ჩამოწერის აუცილებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას უკვე მიღებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული ,,საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად

მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა სსიპ მახაშის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული/ბალანსზე რიცხული ამორტიზებული, ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ძირითადი აქტივის შენობა-ნაგებობის ბალანსიდან ჩამოწერისა და დემონტაჟის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით.

წერილს დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ მახაშის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის - შენობა-ნაგებობის ჩამოწრის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი.
2. სურათები;
3. აკრედიტებული ექსპერტის დასკვნა;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 2 ოქტომბრის N1182533 თანხმობის წერილი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის 15 დეკემბრის N649 [5] ნებართვის წერილი.

პატივისცემით,

სსიპ მახაშის საჯარო
სკოლის დირექტორი /ზ.სილაგაძე/